



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: 92. 92230804

თარიღი: 21/03/2023

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის "ე.ე" ქვეპუნქტის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა დანართის N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. სამოქმედო გეგმის მიხედვით პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს დაევალოთ სამოქმედო გეგმის შესრულება გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 3. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ნინო ბატიაშვილის.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდიენიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

